სრულიად საქართველოს საპატრიარქო
ა(ა) იპ მცხეთიე წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლური საშუალო სკოლა

განხილული და დამტკიცებულია
პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი N.....

ა(ა)იპ-მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლური საშუალო სკოლის შვიდწლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმა

(2024-2031 წლები)

2024 წელი

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი მოიცავს სკოლის მისიას, ხედვას, ღირებულებებსა და სტრატეგიულ მიზნებს. სტრატეგია განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა მიაღწიოს სკოლამ დასახულ მიზნებს არსებული მატერიალურ-ტექნიკური, ადამიანური და ფინანსური რესურსების ეფექტურად გამოყენების გზითა და საჭირო დამატებითი რესურსების მოძიებით. სტრატეგიული გეგმა დეტალურად ახდენს გარემო ფაქტორების და შიდა გარემოს SWOT (სიძლიერე, სისუსტე, შესაძლებლობები და საფრთხე) ანალიზს.

შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის პროექტის შედგენისას გათვალისწინებული იქნა, როგორც წინარე გამოცდილება, ასევე ახალი გამოწვევები. ინფორმაციის შეჯერების, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საუკეთესო პრაქტიკის გამოყენებითა და თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით, სკოლა ძირითად ამოცანად ისახავს, მოსწავლეებს მისცეს ხარისხიანი, 21-ე საუკუნის შესაბამისი განათლება, მოამზადოს ისინი დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის, ხელი შეუწყოს საჭირო უნარ-ჩვევების, პიროვნული ღირებულებების ჩამოყალიბებას შესაბამისი კვალიფიციური კადრების მეშვეობით.

სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმის შემუშავების პროცესის წარმართვაზე პასუხისმგებელია სკოლის დირექტორი, რომელიც უზრუნველყოფს კომუნიკაციას სკოლის სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებთან, საჭირო ინფორმაციის შეგროვებას.

ინფორმაცია სკოლის შესახებ

სკოლის სახელწოდება: ა(ა)იპ-მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლური საშუალო სკოლა

სკოლის მისამართი: ქ. მცხეთა, წერეთლის ქ.N 27
ტელეფონი:(+995 32) 2 51 39 95
ელ-ფოსტა: atormet-mociquli@mail.ru

სკოლის შენობის ფართი: 1017კვ.მ.

არასასოფლო სამეურნეო მიწის ფართი -

შენობის განაშენიანების ფართი -3935 კვ.მ.

სკოლაში სწავლება მიმდინარეობს ქართულ ენაზე - დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე. დაწყებითი საფეხური მოიცავს I-VI კლასებს, საბაზო საფეხური - VII-IX კლასებს, ხოლო საშუალო საფეხური- X-XII კლასებს.

მოსწავლეთა საერთო რაოდენობა: 199
დაწყებითი საფეხური -108
საბაზო საფეხური - 55
საშუალო საფეხური - 38
მასწავლებლების საერთო რაოდენობა: 25
უფროსი მასწავლებელი -19
წამყვანი მასწავლებელი -1

სკოლის მისია : ა(ა)იპ-მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლური საშუალო სკოლის მისაა, ხარისხიანი ზოგადი განათლების მისაღებად მოსწავლის პოტენციალის სრულად გამოვლენაზე ორიენტირებული, სწავლისათვის მასტიმულირებელი გარემოს შექმნა, რათა აღზარდოს ფიზიკურად და ინტელექტუალურად განვითარებული , შემოქმედი, დამოუკიდებელი, ეთნიკური თუ რელიგიური მრავალფეროვნებისადმი პატივისმცემელი, დემოკრატიული ღირებულებისადმი საღი დამოკიდებულების მქონე მართლმადიდებელი ქრისტიანი, რომელიც თავის ცოდნასა და შესაძლებლობებს მოახმარს ეროვნულ მიზნებს.

სკოლის ხედვა : სკოლა ქმნის სამართლიან, გამჭვირვალე გარემოს ; მხარს უჭერს თანამედროვე უნარ-ჩვევებით მოსწავლის აღჭურვას და აძლევს მაღალი ხარისხის განათლებას; უვითარებს ქვეყნის კულტურული ღირებულებების შესწავლისა და დაცვის უნარ-ჩვევებს, ასწავლის ოჯახის, საზოგადოების, მართლმადიდებლური ტრადიციების პატივისცემასა და საშობლოს სიყვარულს. მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლებისა და არაფორმალური განათლების გაძლიერებით, პედაგოგთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობით, უახლოეს მომავალში სკოლა ხდება რეგიონში ერთ-ერთი პოზიტიური, კონკურენტუნარიანი საგანმანათლებლო დაწესებულება.

სკოლის ღირებულებები: ჩვენი სკოლის საზოგადოება თავის საქმიანობას წარმართავს შემდეგ ღირებულებებზე დაყრდნობით:

- ღვთისა და მოყვასის სიყვარული
- პროფესიონალიზმი
- პასუხისმგებლობა
- სამართლიანობა
- თანადგომა
  გუნდურობა

სკოლის მიზნები:

1.ეროვნული სასწავლო გეგმითა და მართლმადიდებლური საშუალო სკოლისათვის განსზღვრული პროგრამების განხორციელება ქრისტიანული პედაგოგიკისა და თანამედროვე ინოვაციური მეთოდების ურთიერთშერწყმის გზით;

2. თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური მიდრეკილებების გამოვლენა და განვითარება;

3. მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლებისა და არაფორმალური განათლების გაძლიერება;

4. ფიზიკურად და ინტელექტუალურად განვითარებული, შემოქმედი, დამოუკიდებელი,ეთნიკური თუ რელიგიური მრავალფეროვნებისადმი პატივისმცემელი, დემოკრატიული ღირებულებებისადმი საღი დამოკიდებულების მქონე მართლმადიდებელი ქრისტიანის აღზრდა;

5.საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალური და ადამინური რესურსების სრულყოფა.

6. სსსმ მოსწავლეთა განათლების მისაღებად პედაგოგიური ხელშემწყობი პირობების, ადაპტირებული და უსაფრთხო გარემოს,კეთილგანწყობისა და თანამშრომლობის ატმოსფეროს შექმნა.

სტრატეგიული გეგმის შემუშავების მიზნით, სკოლის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, შეიქმნა სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფი სკოლის დირექციისა და საგნობრივი კათედრების წარმომადგენელთა მონაწილეობით.

ჯგუფმა მოამზადა სკოლის არსებული მდგომარეობის ანალიზი და შედეგებზე დაყრდნობით განისაზღვრა სკოლის განვითარების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, ჩამოყალიბდა სტრატეგიული მიზნები.

სკოლის განვითარების სტრატეგიული (გრძელვადიანი) გეგმა

სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმის შემუშავების პროცესის წარმართვაზე პასუხისმგებელია სკოლის დირექტორი, რომელიც უზრუნველყოფს კომუნიკაციას სკოლის სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებთან და საჭირო ინფორმაციის შეგროვებას.

სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის პროექტის შედგენისას გათვალისწინებული იქნა, როგორც წინარე გამოცდილება, ასევე, ახალი გამოწვევები. ინფორმაციის შეჯერების, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საუკეთესო პრაქტიკის გამოყენებითა და თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით, განვლილი საანგარიშო პერიოდის შეფასებისას გამოიკვეთა სკოლის როგორც ძლიერი, ასევე სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები:

SWOT ანალიზი

2023-2024 სასწავლო წელი

№	ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
1	* მოწესრიგებული, მშვიდი, უსაფრთხო სასწავლო გარემო; * კვალიფიციური,მოტივირებული, პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებული ადამიანური რესურსი; *უფასო კლასგარეშე შემოქმედებითი წრეები, მათ შორის გალობის, ქართული ხალხური ცეკვისა და სიმღერის, ხალხურ საკრავთა და ხალხური რეწვის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების წრეები; *დღის გახანგრძლივებული ჯგუფები; *I-IV კლასის მოსწავლეთა უფასო კვებით უზრუნველყოფა; *მოქმედი ქრისტიანული ტაძარი; *უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხულთა და	* მოსწავლეთა მხარდაჭერა; * მშობელთა ჩართულობა; * სასკოლო კურუკულუმი; * სკოლის შიდა ვერიფიკაცია; *დაგეგმილი აქტივობების განხორციელებისათვის შეზღუდული ფინანსური რესურსი.

	გრანტით ჩარიცხულთა მაჩვენებელი. * პირველკლასელების მიღების პროცესის მდგრადობა; * არაფორმალური განათლების აქტიური დანერგვა; *პროფესიული ზრდის შესაძლებლობა; *მოსწავლეთა კონტიგენტის ზრდის ტენდენცია	
2	**შესაძლებლობები**	**საფრთხეები**
	*მოსწავლეთა აქტიურად ჩაბმა სხვადასხვა კონკურსებსა და ოლიმპიადებში; *მატერიალური რესურსების ეფექტიანად გამოყენება- გაუმჯობესება; *წარმატებული კურსდამთავრებული მოსწავლეების ჩართვა სასკოლო ცხოვრებაში; *დაფინანსების ახალი წყაროების მოზიდვა; *მოსწავლეთა და მასწავლებელთა წახალისების ეფექტური მექანიზმების შემუშავება; *ეკლესია-მონასტრების მოლოცვებისა და სასწავლო ექსკურსიების დაგეგმვა-განხორციელება.	*კონკურენტული გარემო, რაც მოიაზრებს სხვა სკოლების მოსწავლეთა უზრუნველყოფას სასკოლო სახელმძღვანელოებითა და ბუკებით; *სკოლის მოსწალეთა უფასო ტრასპორტირით უზრუნველყოფა სასწავლო პერიოდში; ამ მხრივ მათი არათანაბარ პირობებში ჩაყენება ქალაქის საჯარო სკოლების მოსწავლეებთან მიმართებით.

სტრატეგიული მიმართულებები:

სკოლის შესაძლებლობებისა და გარემოს შესწავლით (SWOT ანალიზი), მისიითა და ხედვით განსაზღვრული და ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების განხორციელებისათვის ა(ა)იპ-მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლურ საშუალო სკოლას დაგეგმილი აქვს, 2024-2031 წლებში იმუშაოს შემდეგი სტრატეგიული მიმართულებით:

- **სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება;**
- **ადამიანური რესურსის განვითარება;**
- **მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება;**
- **უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა;**
- **სასკოლო საზოგადოების ჩართულობა;**
- **მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება;**
- **ორგანიზაციული განვითარება.**

თითოეული სტრატეგიული მიმართულება თავის მხრივ, იყოფა ამოცანებად.

სტრატეგიული მიმართულებები, მიზნები და ამოცანები :

1. **სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება**

სწავლა ხელს უნდა უწყობდეს მოსწავლეთა ინტერესებისა და მიდრეკილებების გამოვლენას, მათ ინტელექტუალურ განვითარებას. ხარისხზე ორიენტირებულ სკოლაში მოსწავლე ეუფლება არა მხოლოდ ინფორმაციის მიღების, არამედ ცოდნის გააზრების, გამოყენების, დამოუკიდებლად დასკვნების გამოტანისა და შეფასების გაკეთების უნარ-ჩვევებს. მოსწავლის განვითარების დინამიკის დადგენა და თანმდევი დამატებითი სამუშაოების განხორციელება არის სრულყოფილი და ხარისხიანი განათლების მიღების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალება.

სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლების ამოცანებია:

- სასწავლო პროცესის ხარისხის გაზრდა;
- სასწავლო პროცესის მონიტორინგი და შედეგების გათვალისწინებით შესაბამისი აქტივობების დაგეგმვა/განხორციელება;
- აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების მიზნით, მოსწავლეებში მოტივაციის გაზრდა.

სტრატეგიული მიზანი 1. სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება								
სტრატეგიული ამოცანა	**განხორციელების ვადები**							**შესრულების ინდიკატორი**
	2024 2025	2025 2026	2026 2027	2027 2028	2028 2029	2029 2030	2030 2031	
სასწავლო პროცესის ხარისხის გაზრდა								შეფასების ანგარიში
სასწავლო პროცესის მონიტორინგი და შედეგების გათვალისწინებით შესაბამისი აქტივობების დაგეგმვა/ განხორციელება								მონიტორინგის ანგარიში; განხორციელებული აქტივობები
აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების მიზნით, მოსწავლეებში მოტივაციის								განხორციელებული აქტივობები

გაზრდა								

2. ადამიანური რესურსის განვითარება

ხარისხიანი განათლებისა და ეფექტური სასწავლო პროცესის უზრუნველყოფა წარმოუდგენელი და შეუძლებელია კვალიფიციური, მომზადებული და პროფესიულად მუდმივ განვითარებაზე ორიენტირებული მასწავლებლის გარეშე. სკოლამ უნდა უზრუნველყოს მასწავლებელთა პროფესიული განვითარება. ამის განსახორციელებლად სკოლა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული თუ აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხელშემწყობი ღონისძიებების ორგანიზებას, რაშიც მოიაზრება ტრენინგები, ვებინარები, სამუშაო შეხვედრები, გამოცდილების გაზიარება.

სკოლის ადამიანური რესურსის განვითარებს ამიცანებია:

- პერსონალის მართვის პოლიტიკის და პრაქტიკის გაუმჯობესება;
- ადმინისტრაციული/აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხელშემწყობი ღონისძიებების ორგანიზება.

სტრატეგიული მიზანი 2. ადამიანური რესურსის განვითარება								
სტრატეგიული ამოცანა	**განხორციელების ვადები**							**შესრულების ინდიკატორი**
	2024 2025	2025 2026	2026 2027	2027 2028	2028 2029	2029 2030	2030 2031	
პერსონალის მართვის პოლიტიკის და პრაქტიკის გაუმჯობესება								დამტკიცებული პერსონალის მართვის დოკუმენტი
ადმინისტრაციული/აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხელშემწყობი ღონისძიებების ორგანიზება								განხორციელებული აქტივობები

3. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება

სკოლისთვის მნიშვნელოვანია სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესისათვის საჭირო მატერიალური რესურსის არსებობა, სასკოლო ინვენტარით და საჭირო რესურსებით სასწავლო დაწესებულების უზრუნველყოფა, მძლავრი საბიბლიოთეკო ფონდის შექმნა,

საინფორმაციო ტექნოლოგიების ბაზის განვითარება. სკოლაში შექმნილია პირობა სასწავლო პროცესის წარმართვისათვის.

სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებს ამოცანებია:

- ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება;
- საგანმანათლებლო/სასწავლო რესურსების განახლება/შევსება;
- საინფორმაციო რესურსების გაუმჯობესება;

სტრატეგიული მიზანი 3. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება								
სტრატეგიული ამოცანა	**განხორციელების ვადები**							**შესრულების ინდიკატორი**
	2024 2025	2025 2026	2026 2027	2027 2028	2028 2029	2029 2030	2030 2031	
ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება								სამეურნეო ნაწილის გამგის ანგარიში
საგანმანათლებლო/სასწავლო რესურსების განახლება/შევსება								შესყიდვების დოკუმენტები
საინფორმაციო რესურსების გაუმჯობესება								შემუშავებული დოკუმენტი

4. უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა

სკოლაში სასწავლო პროცესი და ზოგადად აღზრდის სისტემა უნდა ეფუძნებოდეს სამართლიანობისა და ნდობის პრინციპებს. მოსწავლე უსაფრთხოდ და დაცულად უნდა გრძნობდეს თავს. სკოლაში შექმნილი უნდა იყოს ყველა პირობა, რათა დაკმაყოფილებული იყოს სასკოლო საზოგადოების ფიზიკური უსაფრთხოების მოთხოვნები. სკოლაში ფუნქციონირებს უსაფრთხოების მკაფიოდ შემუშავებული სისტემა, რომელშიც მოიაზრება დარაჯი, ვიდეო-კამერები, სახანძრო უსაფრთხოებისა ნორმების დაცვა, პრევენციული ღონისძიებები. სკოლამ უნდა მისცეს მოსწავლეებსა და თანამშრომლებს აუცილებელი ცოდნა კრიტიკულ სიტუაციებში ქცევის შესახებ და განუვითაროს შესაბამისი უნარ-ჩვევები.

სკოლის უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფის ამოცანებია:

- საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა;
- უსაფრთხოების ნორმების დაცვა;

- უსაფრთხოების ნორმების დაცვის მიზნით პრევენციული ღონისძიებების განხორციელება.

სტრატეგიული მიზანი 4. უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა								
სტრატეგიული ამოცანა	**განხორციელების ვადები**							**შესრულების ინდიკატორი**
	2024 2025	2025 2026	2026 2027	2027 2028	2028 2029	2029 2030	2030 2031	
საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა								შესაბამისი ბრძანება
უსაფრთხოების ნორმების დაცვა								შემუშავებული დოკუმენტი
უსაფრთხოების ნორმების დაცვის მიზნით პრევენციული ღონისძიებების განხორციელება								განხორციელებული აქტივობები

5. სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

სკოლის წარმატებული ფუნქციონირებისათვის ძალიან მნიშვნელოვანია სასკოლო საზოგადოებასთან, მათ შორის მოსწავლეებთან, მშობლებთან ურთიერთობის სისტემის ჩამოყალიბება. სასკოლო საზოგადოებისათვის ღია და ხელმისაწვდომი უნდა იყოს ინფორმაცია სკოლაში მიმდინარე პროცესებზე, წარმატებებსა და ინიციატივებზე. სკოლის წარმატებული საქმიანობისათვის მნიშვნელოვანია მშობელთა ჩართულობა, რისი აუცილებელი პირობაცაა მათი ინფორმირებულობა.

სკოლის წარმატებული საქმიანობისათვის მნიშვნელოვანია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა სკოლისათვის სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. სწორედ ამიტომ, სკოლა მომავალში ქმნის მშობელთა სათათბიროსა და მოსწავლეთა საინიციატივო ჯგუფს, რომლებიც ჩაერთვებიან სკოლის ცხოვრებაში.

სასკოლო საზოგადოების ჩართულობის ამოცანებია:

- მოსწავლეთა თვითმმართველობის აქტივობების გაზრდა;
- მშობელთა ჩართულობა სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში;
- მშობლებთან ურთიერთობების ფორმების დახვეწა;
- მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობის გაზრდა;
- მართვის კოლეგიური ორგანოების გააქტიურება.

სტრატეგიული მიზანი 5. სასკოლო საზოგადოების ჩართულობა								
სტრატეგიული ამოცანა	განხორციელების ვადები							შესრულების ინდიკატორი
	2024 2025	2025 2026	2026 2027	2027 2028	2028 2029	2029 2030	2030 2031	
მოსწავლეთა თვითმმართველობის აქტივობების გაზრდა								განხორციელებული აქტივობები
მშობელთა ჩართულობა სასწავლო აღმზრდელობით პროცესში								მშობელთა სათათბიროს მასალები
მშობლებთან ურთიერთობების ფორმების დახვეწა								სკოლა უზრუნველყოფს მშობელთან ურტიერთობის ფორმების
მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობის გაზრდა								მონაწილე პირების თვისობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებელი

6. მოსწავლეთა მხარდაჭერა

ნაყოფიერი სასწავლო პროცესის ფორმირებისთვის აუცილებელია მოწესრიგებული სასწავლო გარემო, სადაც მოსწავლეები თავს დაცულად და კომფორტულად იგრძნობენ. სკოლის მიზანია პირველ რიგში უზრუნველყოს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაცია, მოიპოვოს მისი ნდობა და შეუქმნას მას მიმღებლობითი გარემო. მხარდაჭერის სტრატეგიის გამოყენებით ხდება სწავლებისთვის ხელშემწყობი გარემოს შექმნა და შემდგომში მოსწავლის აკადემიური თუ ქცევითი მიღწევების წახალისება.

მოსწავლეთა სრულფასოვანი განვითარებისათვის მნიშვნელოვანია არაფორმალური განათლების მიცემა. მოსწავლეთა ინტერესების შესაბამისად სხვადასხვა წრეების შექმნა. სხვადასხვა სიახლეების შეთავაზება სასკოლო საზოგადოებისათვის.

სკოლის მოსწავლეთა მხარდაჭერის ამოცანებია:

- მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის სისტემის უზრუნველყოფა;
- დამატებითი სერვისების განვითარება;

- მოსწავლეთა უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

სტრატეგიული მიზანი 6. მოსწავლეთა მხარდაჭერა								
სტრატეგიული ამოცანა	**განხორციელების ვადები**							**შესრულების ინდიკატორი**
	2024 2025	2025 2026	2026 2027	2027 2028	2028 2029	2029 2030	2030 2031	
მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის სისტემის უზრუნველყოფა								მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის მეანიზმი; შესაბამისი ამსახველი მასალები;მოსწავლის აკადემიური/საკონ სულტაციო მხარდამ ჭერი მომსახურების მასალები.
დამატებითი სერვისების განვითარება								მასწავლებელთან გაფორმებული ხელშეკრულებები
მოსწავლეთა უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად საჭირო ღონისძიებების განხორციელება								დამტკიცებული დოკუმენტი

7. ორგანიზაციული განვითარება

პარტნიორულ ურთიერთობას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს სკოლის განვითარებისთვის; პირველ რიგში, მნიშვნელოვანია პარტნიორობა სკოლის შიგნით, რათა ერთად მოხდეს პრობლემების გადაჭრა დასახული მიზნის მისაღწევად.

მეორე მხრივ, კონკურენტუნარიან გარემოში პარტნიორობა საჭიროა სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებასთან, სკოლებთან, კერძო პირებთან, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, უნივერსიტეტებთან, თემთან და სხვა ორგანიზაციებთან, რომელშიც სკოლის წარმატებით დაინტერესებული ყველა პირი მიიღებს მონაწილეობას.

ამასთან, აუცილებელია მუდმივი სწრაფვა განვითარებისკენ და მომავალი ავტორიზაციის პროცესისათვის სკოლაში მოქმედი მექანიზმების დახვეწა.

სკოლის ორგანიზაციული განვითარების ამოცანებია:

- სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან/ორგანიზაციებთან თანამშრომლობა;
- სკოლის ცნობადობის გაზრდა;
- სრული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის პროცესისათვის მომზადება.

სტრატეგიული მიზანი 7. ორგანიზაციული განვითარება								
სტრატეგიული ამოცანა	განხორციელების ვადები							შესრულების ინდიკატორი
	2024 2025	2025 2026	2026 2027	2027 2028	2028 2029	2029 2030	2030 2031	
სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან/ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა								ერთობლივი პროექტები/ ღონისძიებები
სკოლის ცნობადობის გაზრდა								სკოლის ვებ-გვერდი ამსახველი მასალები
სრული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის პროცესისათვის მომზადება								განხორციელებული აქტივობები

სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმის რეალიზება ხდება შიდა და გარე ფაქტორების გათვალისწინებით. ობიექტური ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია, მოხდეს სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმის გადახედვა გარკვეული პერიოდულობით.

ა(ა)იპ

მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლური საშუალო სკოლა

3300
ქალაქი მცხეთა, წერეთლის ქ.№27,
ტელ: (+995 32) 2 51 39 95

ქ. მცხეთა 02 ოქტომბერი, 2024 წელი

ბრძანება 2/ს- 37-01

ა(ა) იპ მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულტა სახელობის მართლმადიდებლური საშუალო სკოლის 2024-2025 სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების დამტკიცების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს ა(ა)იპ მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლური საშუალო სკოლის 2024-2025 სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების დანართი N1-ის შესაბამისად;

2. დაევალოს საქმისმწარმოებელს, ამ ბრძანების შესრულების მიზნით, შესაბამისი ღონისძიებების გატარება.
3. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, მცხეთის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ.№17).

სკოლის დირექტორი + არქიმანდრიტი ილია/ ნასიძე/